ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ნ. ს

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.02.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 020/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ბ-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 22 თებერვალს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მოქალაქე ნ. ს-მ, რომელმაც მოითხოვა ადვოკატ ა. ბ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საადვოკატო მომსახურების თანხის უკან დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის 15 ნოემბერს მან დედა ენის პარკის მახლობლად არსებულ ოფისში გაიცნო ადვოკატი ა. ბ და მასთან დადო ზეპირი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ადვოკატს უნდა დაეცვა საჩივრის ავტორის ინტერესები სამოქალაქო საქმეზე ყველა ინსტანციის სასამართლოში. საქმე ეხებოდა ბინას, რომელიც საჩივრის ავტორმა 1997 წელს შეიძინა და მესაკუთრის გარდაცვალებამდე გაფორმება ვერ მოასწრო. ადვოკატის მომსახურების

საფასური განისაზღვრა 300 (სამასი) ლარით, რაც საჩივრის ავტორმა გადასცა ადვოკატს 2013 წლის 15 ნოემბერს. საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ადვოკატს უნდა მიეღო ბინის ღირებულების 10%.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა შეიტანა სარჩელი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში. 2016 წლის 4 თებერვალს სასამართლოს სხდომაზე მოსამართლემ დაადგინა ხარვეზი, ადვოკატს ფაქტობრივი გარემოებების სრულად ჩამოყალიბება მოსთხოვა, რის გამოც სხდომა გადაიდო. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა ამის შემდეგ არაფერი გააკეთა და საჩივრის ავტორთან საადვოკატო მომსახურება შეწყვიტა. ადვოკატი არც საჩივრის ავტორის სატელეფონო ზარებს პასუხობს და არც საბუთები დაუბრუნებია კლიენტისთვის.

1.4 საჩივრის ავტორმა 2014 წლის 12 მაისს სხვა საქმეზე კვლავ მიმართა ადვოკატ ა. ბ-ს. საჩივრის ავტორს სურდა ადვოკატს მისი შვილის ინტერესები დაეცვა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გაცემული თანხის ამოღების თაობაზე სასამართლოში. ხელშეკრულება წერილობით გაფორმდა საჩივრის ავტორის შვილთან გ. გ-სთან. აღნიშნულ საქმეში ადვოკატმა მოითხოვა მომსახურებისთვის 300 (სამასი) ლარი და თანხის ამოღების შემდეგ ამოღებული თანხის 3%. სადავო თანხა იყო 31500 (ოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარი, ხოლო სასამართლოში შესატანი სახელმწიფო ბაჟის თანხა 945 (ცხრაას ორმოცდახუთი) ლარი, ასევე ყადაღის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარი. 2014 წლის 15 მაისს საჩივრის ავტორმა აღნიშნული თანხები გადასცა ადვოკატს.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი შვილი გ. გ იმყოფებოდა საბერძნეთში და 3 დღეში უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში. ადვოკატმა განაცხადა, რომ სარჩელი მზად იყო და სასწრაფოდ სჭირდებოდა მინდობილობა, რათა სარჩელი შეეტანა სასამართლოში. საჩივრის ავტორის შვილმა ელექტრონულად გასცა მინდობილობა ადვოკატზე, რის შემდეგ საჩივრის ავტორმა აღმოაჩინა, რომ ადვოკატს სარჩელი არ ჰქონდა შეტანილი სასამართლოში. იმ დროს დოლარის კურსი გაიზარდა და ადვოკატმა დაახლოებით 2015 წლის 20 თებერვალს სასამართლოში შესატანი სახელმწიფო ბაჟისთვის დამატებით 305 (სამას ხუთი) ლარი და ყადაღისთვის მეორედ 50 (ორმოცდაათი) ლარი მოითხოვა, რადგან მისი განმარტებით, პირველი ყადაღა გაუქმებული იყო.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მოატყუა, თითქოს სარჩელი წარმოებაში მიიღო სასამართლომ. შემდეგ დაურეკა და განუცხადა, რომ სარჩელი გამოითხოვა და საჩივრის ავტორს სახელმწიფო ბაჟი უნდა დაებრუნებინა. საჩივრის ავტორს აინტერესებს, რატომ შეიტანა ადვოკატმა სახელმწიფო ბაჟის სახით 720 (შვიდას ოცი) ლარი 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარის ნაცვლად, თანაც ნაწილ-ნაწილ, ხოლო 530 (ხუთას ოცდაათი) ლარი მისი პირადი ანგარიშიდან.

1.7 საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ ადვოკატთან კომუნიკაცია უჭირდა, ის ხშირად იცვლიდა საკონტაქტო ინფორმაციას და კლიენტს მუდმივად უხდებოდა ადვოკატის ძებნა. საჩივრის ავტორმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თავისი საქმის სარჩელის ასლი, მაგრამ სარჩელი არ მოიძებნა. ამის შესახებ ადვოკატს მისთვის ახსნა-განმარტება არ მიუცია. საჩივრის ავტორი უკმაყოფილოა იმით, რომ ადვოკატმა ვერც ერთი სარჩელის სასამართლოში წარმოებაში მიღება და განხილვა ვერ უზრუნველყო.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. ბ-მა 2017 წლის 21 მარტს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება ეთიკის კომისიაში, რომლის მიხედვითაც მან საჩივრის ავტორი გაიცნო თბილისის საქალაქო სასამართლოში. საჩივრის ავტორმა ადვოკატს უთხრა, რომ მის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე მოსამართლემ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც შემდეგ მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა და მოსამართლე იხილავდა საჩივარს, ამიტომ ნ. ს-ს ესაჭიროებოდა ადვოკატი თავისი უფლებების დასაცავად. ადვოკატი ა. ბ და საჩივრის ავტორი სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი დაიცავდა საჩივრის ავტორის ინტერესებს, რაშიც იგი მიიღებდა 300 (სამას) ლარს. საჩივრის ავტორმა თავდაპირველად ადვოკატს გადასცა 100 (ასი) ლარი და შემდეგ უნდა გადაეცა 200 (ორასი) ლარი. ადვოკატმა მიიღო მონაწილეობა მოპასუხის საჩივრის განხილვაში. სასამართლომ მხარეები მოარიგა. ადვოკატმა შეადგინა მორიგების ოქმი, რომელიც მოსამართლემ დაამტკიცა.

2.2 იმის დასადგენად თუ რა ქონება ირიცხებოდა მოპასუხის სახელზე, ადვოკატმა წერილით მიმართა ყვარლის რაიონის სოფელ საბუეს რწმუნებულს და მოითხოვა ინფორმაცია უძრავი ქონების შესახებ. ყვარლის რაიონის სოფელი საბუეს რწმუნებულმა ადვოკატს აცნობა, რომ უძრავი ქონება ირიცხებოდა საჩივრის ავტორის მოპასუხის ნ. თ.-ს აწ გარდაცვლილი მეუღლის რ. თ.-ს სახელზე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის დაკისრებული თანხა საჩივრის ავტორმა დროულად მიიღო, მაგრამ ადვოკატისთვის გადასაცემი თანხა - 200 (ორასი) ლარი დღემდე არ გადაუცია.

2.4 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა მას ასევე სთხოვა სამოქალაქო საქმეში თავისი ინტერესების დაცვა. საქმე ეხებოდა ბინას, რომელიც საჩივრის ავტორმა 1997 წელს შეიძინა, მესაკუთრე გარდაიცვალა და გაფორმება ვერ მოასწრო. საჩივრის ავტორს სურდა უძრავი ქონების უმკვიდროდ გამოცხადება და გაფორმება. ადვოკატმა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2013 წლის 18 ნოემბერს. სასამართლომ სარჩელი არ მიიღო წარმოებაში და მიუთითა რიგი მტკიცებულებები, რომელთა წარდგენაც აუცილებელი იყო სარჩელის წარმოებაში მისაღებად. ადვოკატმა 2014 წლის 20 მარტს კვლავ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით, მას შემდეგ, რაც რამდენიმე მტკიცებულება მოიპოვა, მაგრამ სასამართლომ კვლავ არ მიიღო სარჩელი წარმოებაში. 2014 წლის 15 ივლისს ადვოკატმა, გარკვეული მტკიცებულებების მოძიების შემდეგ, კვლავ მიმართა სასამართლოს სარჩელით და ამჯერად სასამართლომ მიიღო სარჩელი წარმოებაში, მაგრამ პროცესი დაახლოებით შვიდი თვის განმავლობაში არ ჩანიშნულა. შემდეგ მოსამართლის თანაშემწემ ადვოკატს აცნობა, რომ სარჩელი გურჯაანის რაიონული სასამართლოს განსჯადია. 2015 წლის 11 თებერვალს ადვოკატმა გამოიხმო სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოდან.

2.5 ადვოკატმა მიმართა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს სარჩელით, რომელიც მიღებული იქნა წარმოებაში. გურჯაანის რაიონულ სასამართლოში პირველ სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ აღმოაჩინა სარჩელში ნაკლოვანებები და მათი გამოსწრება მოითხოვა. ამ ხნის

განმავლობაში ადვოკატმა მოიძია ცნობები ნოტარიუსთა პალატიდან, საჯარო რეესტრიდან, რაშიც თავად გადაიხადა გარკვეული თანხა, ასევე თავად გადაიხადა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში სარჩელის გადაგზავნის ღირებულება.

2.6 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი თავისი ყალბი დოკუმენტებით ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს ეთიკის კომისია, სასამართლო და ქონების მართვის სააგენტო. ადვოკატი ცდილობდა, რომ საქმე საჩივრის ავტორის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო, მაგრამ ეს არ მოხდა, პირველ რიგში საჩივრის ავტორის არათანმიმდევრული და უპატიოსნო ქმედებების შედეგად.

2.7 ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიებს მისი და მისი შვილის გ. გ-ის სამოქალაქო საქმეებზე ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურეობის მიმართ. ადვოკატის განმარტებით სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გ. გ-განმ. ბ-ს ნასესხები ჰქონდა 9000 (ცხრა ათასი) აშშ დოლარი, რაც იმ დროისთვის ეროვნულ ვალუტაში 24000 (ოცდაოთხი ათასი) ლარი იყო. 2014 წლის 10 მაისს გაფორმდა წერილობითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატის ჰონორარი განისაზღვრა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. სასამართლოში სარჩელის შეტანისთვის საჭირო იყო სახელმწიფო ბაჟი - 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარი და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის - 50 (ორმოცდაათი) ლარი. შემდეგში მოთხოვნის დაზუსტების შედეგად სახელმწიფო ბაჟის თანხამ შეადგინა 720 (შვიდას ოცი) ლარი. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადაუხადა 200 (ორასი) ლარი საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით და 50 (ორმოცდაათი) ლარი სახელმწიფო ბაჟის სახით. ადვოკატმა ჯერ მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადება მოითხოვა, კლიენტი ამასობაში მოიძიებდა სახელმწიფო ბაჟის თანხას და სარჩელიც ამის შემდეგ უნდა შეტანილიყო.

2.8 ადვოკატმა განცხადებით მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით. სასამართლომ უარი განაცხადა ყადაღის გამოყენებაზე, რაც ადვოკატმა გაასაჩივრა, მაგრამ საჩივარი არ დაკმაყოფილდა. როცა საჩივრის ავტორმა მოაგროვა სახელმწიფო ბაჟის თანხა, 2015 წლის 20 თებერვალს ადვოკატმა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მაგრამ სასამართლომ სარჩელი არ მიიღო წარმოებაში. ადვოკატმა ხელმეორედ მიმართა სასამართლოს სარჩელით. ამჯერად სასამართლომ მიიღო სარჩელი წარმოებაში, მაგრამ სარჩელის მოპასუხისთვის ჩაბარება ვერ ხერხდებოდა. იმის გამო, რომ სასამართლოს სარჩელი განუხილველად არ დაეტოვებინა და სახელმწიფოს ბაჟის თანხის 30% არ დაკარგულიყო, ადვოკატმა კლიენტთან შეთანხმებით სარჩელი გამოიხმო.

2.9 ადვოკატი აცხადებს, რომ სამივე სასამართლოში საქმის წარმოებისთვის კლიენტისგან უნდა მიეღო 1000 (ათასი) ლარი, მაგრამ მისგან მიიღო მხოლოდ 300 (სამასი) ლარი. ადვოკატმა საჩივრის ავტორს დაუბრუნა ყველა დოკუმენტის დედანი, მასთან დარჩა მხოლოდ საბინაო წიგნის დედანი და სხვა დოკუმენტების ასლები, რომლებსაც დავის გადაწყვეტის შემდეგ დაუბრუნებს, ხოლო საბინაო წიგნს წარუდგენს შესაბამის ორგანოს მისი ნამდვილობის დადგენის მიზნით.

2.10 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი კომისიას არ აწვდის სწორ ინფორმაციას, როდესაც აცხადებს, რომ ადვოკატი იცვლის ოფისებს ან საკონტაქტო ინფორმაციას და თავს არიდებს კლიენტთან შეხვედრას. საჩივრის ავტორი მის ოფისში არა ერთხელ ყოფილა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. **ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი ა. ბ არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 ნ. ს-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 22 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის 11 იანვარს. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. **შემაჯამებელი დასკვნა:**

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1 ადვოკატის მიმართ საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ა. ბ აწარმოებდა ორ საქმეს: აქედან, ერთ საქმეზე მოსამართლემ ადვოკატს ფაქტობრივი გარემოებების სრულად ჩამოყალიბება მოსთხოვა და სასამართლო სხდომა გადაიდო, თუმცა ადვოკატმა ამ საქმეზე აღარ გააგრძელა კლიენტის წარმომადგენლობა; იგი არც საჩივრის ავტორის სატელეფონო ზარებს პასუხობდა და არც საბუთები დაუბრუნებია კლიენტისათვის. ადვოკატმა მეორე საქმეზე, ვერ უზრუნველყო სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღება და განხილვა; საჩივრის ავტორს ასევე პრეტენზია აქვს თუ რატომ შეიტანა ადვოკატმა სახელმწიფო ბაჟის სახით 720 (შვიდას ოცი) ლარი 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარის ნაცვლად, თანაც ნაწილ-ნაწილ, ხოლო 530 (ხუთას ოცდაათი) ლარი ჩაურიცხა მას თავისი პირადი ანგარიშიდან; კლიენტს ადვოკატთან კომუნიკაცია უჭირდა, ადვოკატს არ დაუბრუნებია მისთვის საქმის მასალები.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ა. ბ-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“;
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო საშუალება გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ამავე დროს, საპროცესო კოლეგია განმარტავს ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების ეთიკის კომისიის მიერ გამოკვლევისა და შეფასების ფარგლებს, როდესაც პრეტენზია არაკვალიფიციურ მომსახურებას შეეხება. ეთიკის კომისიის პრაქტიკულ საქმიანობაში წლების მანძილზე დაინერგა, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. ეთიკის კომისია მოცემული გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით (განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten): ,,ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და შესაბამისად წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი კვალიფიკაციის ხარისხს.”

5.4 მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატი ა. ბ იცავდა ნ. ს.-ს ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე ქონების მართვის სააგენტოს წინააღმდეგ და ასევე ადვოკატი ნ. ს-თან ერთან იცავდა მისი შვილის გ. გ-ის ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე სესხის და იპოთეკის თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით. 2013 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული N რწმუნებულების მიხედვით, ნ. ს ანიჭებს ადვოკატ ა. ბ-ს რწმუნებულებას თავისი ინტერესების დასაცავად. 2014 წლის 10 მაისის ხელშეკრულებით იურდიული მომსახურების შესახებ ადვოკატი წარმოადგენს ნ. ს.-ს ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე. ჰონორარის სახით განისაზღვრა 500 ლარი, ხოლო საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ამოღებული თანხის 5 %. 2014 წლის 18 მაისის N რწმუნებულებით გიორგი გოლოშვილის ინტერესებს იცავენ ნ. ს და ადვოკატი ა. ბ. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ადვოკატმა ა. ბ-მა ნ. ს.-ს ინტერესების დასაცავად ქონების მართვის სააგენტოს წინააღმდეგ დავაში განახორციელა შემდეგი იურიდიული მოქმედებები: 2013 წლის 17 ოქტომბერს ადვოკატმა მოამზადა განცხადება ყვარლის რაიონის სოფელ საბუეს მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის სახელზე, რაზეც მიიღო პასუხი 2013 წლის 30 ოქტომბერს; 2013 წლის 15 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩლით მიმართა ნ. ს.-ს წარმომადგენელმა ა. ბ-მა და მოითხოვა ყვარელში, მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე ბინის უმკვიდროდ ცნობა და მოსარჩელის აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა; 2013 წლის 18 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე; 2014 წლის 20 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩლით მიმართა ნ. ს.-ს წარმომადგენელმა ა. ბ-მ და მოითხოვა ყვარელში, მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე ბინის უმკვიდროდ ცნობა და მოსარჩელის აღნიშნული

უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა; 2014 წლის 24 მარტის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე; 2015 წლის 20 ნოემბერს ადვოკატმა ა. ბ-მ განცხადებით მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას ერთიანი ელექტრონული სამემკვიდრო რეესტრიდან ინფორმაციის მიღების მიზნით. ადვოკატმა აიღო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2014 წლის 05 სექტემბერს ადვოკატმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს; სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, მოპასუხემ წარმოადგინა შესაგებელი, 2015 წლის 11 თებერვალს ადვოკატმა გაიხმო სარჩელი; 2015 წლის 13 თებერვლის განჩინებით სარჩელი განუხილველი დარჩა; 2015 წლის 01 სექტემბერს ადვოკატმა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში წარადგინა მოსაზრება მოპასუხის - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შესაგებელზე; 2016 წლის 07 თებერვალს სარჩელით მიმართა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ყვარელში, მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე ბინის უმკვიდროდ ცნობა და მოსარჩელის აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა.

5.5 საჩივრის ავტორს აქვს პრეტენზია, რომ 2016 წლის 04 თებერვალს სასამართლოს სხდომაზე გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ადვოკატს ფაქტობრივი გარემოებების სრულად ჩამოყალიბება მოსთხოვა და სასამართლო სხდომა გადაიდო. ამის შემდეგ ადვოკატმა არაფერი გააკეთა და საჩივრის ავტორის მომსახურება შეწყვიტა. საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები რითიც დადგინდებოდა, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების ჩამოყალიბება დაავალა გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ადვოკატს, საჩივრის ავტორს ასევე არ წარმოუდგენია გურჯაანის რაიონული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ნ. ს.-ს საქმეზე და სხვა ისეთი (საკმარისი) მტკიცებულებები, იმისათვის, რომ ეთიკის კომისიას შესაბამისი სტანდარტით დაედგინა ადვოკატის ქმედების დისციპლინური დარღვევის არსებობა. შესაბამისად ეთიკის კომისია ვერ ადგენს არსებული პრაქტიკის საფუძველზე, თუ რა უნდა გაეკეთებინა ადვოკატს ამ კონკრეტულ საქმეზე კლიენტის ინტერესების დასაცავად და რა არ გააკეთა აღებული ვალდებულებიდან.

5.6 ნ. ს-ის და გ. გ-ის ინტერესების დასაცავად მოპასუხე მხარესთან მ. ბ-თან სასამართლო დავაში ადვოკატმა განახორციელა შემდეგი იურიდიული მოქმედებები: 2014 წლის 10 მაისს ადვოკატმა ა. ბ-მა, როგორც გ. გ-ის წარმომადგენელმა, სარჩელით მიმართა სასამართლოს; 2014 წლის 19 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა როგორც გ. გ-ის წარმომადგენელმა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა მოპასუხის უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება; განმცხადებელს 2014 წლის 20 მაისის განჩინებით უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ადვოკატმა გაასაჩივრა 2014 წლის 20 მაისის განჩინება; 2015 წლის 10 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა როგორც გ. გ-ის წარმომადგენელმა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა მოპასუხის უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება; მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დაკმაყოფილდა; ადვოკატმა სარჩელით მიმართა სასამართლოს 19 თებერვალს, მაგრამ 2015 წლის 24 თებერვალს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე; 2015 წლის 10 მარტს ადვოკატმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე მ. ბ-თვის თანხის დაკისრების მოთხოვნით. 2015 წლის 21 აპრილს ა. ბ-მა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის განუხილველად დატოვება.

5.7 საჩივრის ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ადვოკატმა მისი ორი სამოქალაქო საქმიდან ვერც ერთზე სარჩელის სასამართლოში წარმოებაში მიღება ვერ უზრუნველყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ იგი ვერ შეაფასებს ადვოკატის საპროცესო მოქმედებების შინაარსობრივ მხარეს და მათ საფუძვლიანობას. შესაბამისად, ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის იმის განხილვა, თუ რატომ არ მოჰყვა კლიენტისთვის სასურველი შედეგის მიღება ადვოკატის მიერ არაერთხელ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებს.

5.8 საჩივრის ავტორის შემდეგ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ადვოკატი აღარც საჩივრის ავტორის სატელეფონო ზარებს პასუხობდა და არც საბუთები დაუბრუნებია, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხი განიხილა ადვოკატ ა. ბ-თან საპროცესო სხდომაზე, სადაც ადვოკატმა განმარტა, რომ საბუთების ნაწილი დაუბრუნა კლიენტს და თუ ნ. ს-ს კიდევ ექნება მოთხოვნა სხვა საბუთების დაბრუნების, ადვოკატი მზადაა დაუბრუნოს ყველა საბუთი. 2016 წლის 06 ოქტომბრის განცხადებით ნ. ს-ს სასამართლოდანაც აქვს გამოთხოვილი საქმის მასალები. რაც შეეხება ადვოკატთან კომუნიკაციის არ ქონას, საქმეში არსებული მასალებით მოცემული ფაქტობრივი გარემოება არ დგინდება. საქმისწარმოების პერიოდში ნ. ს ჩართული იყო საპროცესო მოქმედებების შესრულებაში და ინფორმირებული იყო საქმეთა მიმდინარეობის შესახებ.

5.9 საჩივრის ავტორს ასევე პრეტენზია აქვს თუ რატომ შეიტანა ადვოკატმა სახელმწიფო ბაჟის სახით 720 (შვიდას ოცი) ლარი 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარის ნაცვლად, თანაც ნაწილ-ნაწილ, ხოლო 530 (ხუთას ოცდაათი) ლარი ჩარიცხა თავისი პირადი ანგარიშიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით, ეთიკის კომისია ეყრდნობა ადვოკატის ახსნა-განმარტებას, რომლის მიხედვითაც სარჩელის შედგენისას მოქალაქე მ. ბ-თვის სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაკისრების მოთხოვნით დავის საგანი თავდაპირველად განისაზღვრა 31500 (ოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარით, ხოლო შემდეგ სარჩელი დაზუსტდა და დავის საგნად განისაზღვრა 24000 (ოცდაოთხი ათასი) ლარი, რომლისთვისაც სახელმწიფო ბაჟის სახით 720 ლარი იყო გადასახდელი. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საბანკო ამონაწერის მიხედვით, 2015 წლის 21 მაისს ნ. ს-ს ა. ბ-გან ჩაერიცხა 530 (ხუთას ოცდაათი) ლარი, ხოლო 2015 წლის 22 ივლისს სახელმწიფო ხაზინიდან დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 720 (შვიდას ოცი) ლარი. შესაბამისად ადვოკატის ქმედება ეთიკურია, ვინაიდან გადაცემული 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარიდან ნაშთი თანხისა, რაც სახელმწიფო ბაჟის შეტანის შემდეგ დარჩა, კლიენტს უკან დაუბრუნა.

5.10 საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნებასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.'' შესაბამისად, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის თანხის დაბრუნების განხილვა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის. მხარეს შეუძლია, აღნიშნული მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს ადვოკატისგან თანხის დაბრუნების თაობაზე და სამოქალაქო დავა აწარმოოს ადვოკატის წინააღმდეგ.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №020/17 ადვოკატ ა. ბ-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/